

მელორეობა

ღორის სადგომი ბინების მშენებლობა

მელორეობის ბინათმშენებლობისათვის უნდა შეირჩეს მშრალი თიხნარი ადგილი 5%-ი დახრილობით იმიტომ, რომ დაცული იყოს დატბორვისაგან, გრუნტის წყალი არ უნდა იყოს 1,5–2 მეტრს სიღრმეზე. მელორეობის ფერმა უნდა იყოს დაცილებული საავტომობილო მაგისტრალიდან 150–300 მეტრით, ხოლო დასახლებული პუნქტიდან 1000–1500მ-ით, შენობა–ნაგებობა , ფერმები და სხვა კომუნიკაციები 150–200მ-ით. მომსახურე პერსონალის ბინა უნდა იყოს მოცილებული 20 მეტრით.

მელორეობის ფერმა უნდა იყოს აშენებული ხარისხიანი საშენი მასალით, უნდა იყოს თბილი, ნათელი და კარგად უნდა სუფთავდებოდეს ჰაერით. საღორე უნდა იყოს აშენებული ისეთნაირად, რომ ადვილი და მოსახერხებელი იყოს პირუტყვის მოვლა. აუცილებელია ხელსაყრელ ადგილზე იყოს განთავსებული ქვეშაფენის შესანახი სათავსო.

მაწოვარი ნეზვებისათვის 1 სულზე 15მ³ –ია საჭირო.

მშრალი სასუქი ნეზვებისათვის 6მ³–ი.

მოზარდისათვის 8 თვემდე 3,5მ³–ი.

20–40%–ით პროდუქტიულობა მცირდება ცუდი ვენტილაციისა და მიკროკლიმატის დროს. ტემპერატურული რეჟიმი მოზრდილი სულადობისათვის დაცული უნდა იყოს 16–20°C. ახალდაბადებული გოჭებისათვის 28–30°C–ი, შემდეგ ერთ კვირაში ტემპერატურა 2°C–ით მცირდება და ჩამოდის 20°C–მდე. ჰაერის ტენიანობა 60–70%–ია. საღორის კედლის სისქე 50–60სმ უნდა იყოს. სასინათლო კოეფიციენტი 1: 12 შეფარდებით.

